

1. ხედვა: რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?

საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს საქართველოს თითოეული მოქალაქის პრეზიდენტი, მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებებისა, რელიგიური, ეთნიკური კუთვნილებისა და ა.შ.

ქვეყანაში უნდა აღვადგინოთ სამართლიანობა, დავიცვათ ადამიანის უფლებები, მათ შორის, საკუთრების უფლებები, დავიწყოთ წართმეული ქონების დაბრუნების პროცესი და დაზარალებულთათვის ფინანსური კომპენსაციების გადახდა.

უნდა შევცვალოთ ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარი მოქალაქეებისადმი - სახელმწიფომ ხალხზე ზრუნვა უნდა დაიწყოს!

ყველა მოქალაქეს უნდა შევუქმნათ ღირსეული სოციალური და ეკონომიკური პირობები.

ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე უნდა გავატაროთ მხოლოდ ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის ერთიანობას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ჩვენი ეროვნული ფასეულობების დაცვას.

2. განათლება: როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

შევიმუშავებთ უწყვეტი განათლების კონცეფციას, რომელიც საფუძვლად დაედება, ასევე, ერთიან კანონს განათლების შესახებ; შევცვლით სასკოლო, საუნივერსიტეტო, პროფესიული და სკოლამდელი განათლების შინაარსს (სტანდარტები, პროგრამები, სახელმძღვანელოები) ეროვნული კონცეფციისა და განათლების მიზნების (დოქტრინის) მიღებით:

- შეიქმნება განათლების სისტემის ახალი მოდელი;
- შეიქმნება განათლების მართვის სქემა;
- ჩამოყალიბდება განათლების სისტემის საინსპექციო და მეთოდური სამსახურები;
- შეიქმნება კვალიფიციური კადრების მართვის ან მოზიდვის მართებული და მოქნილი მექანიზმები;
- შემუშავდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი წესი და სქემა;
- შეიქმნება პედაგოგთა ატესტაციის თანამედროვე მოდელი;
- აღდგება მასწავლებლებთან უვადო შრომითი ხელშეკრულება;
- აირჩევა თავისუფალი, დემოკრატიული სამეურვეო საბჭოები;
- შემუშავდება სკოლის უსაფრთხოების ახალი წესები;
- შეიქმნება აკრედიტაციის ახალი, დემოკრატიული და არაკორუმპირებული სისტემა;

- შეიქმნება ახალი სასკოლო-საატესტატო საგამოცდო მრავალკომპონენტური (ატესტატის რეიტინგი, დახასიათება-რეკომენდაცია) სისტემა, რომლის საფუძველზეც მოხდება აბიტურიენტის ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემას რეფორმა ესაჭიროება, უნდა აღდგეს დაშლილი და გაყიდული სამეცნიერო და დარგობრივი ინსტიტუტები. მეტიც, თანამედროვე ეტაპზე მძაფრად დგას ახალი სამეცნიერო ინსტიტუტების დაფუძნების აუცილებლობა;
- მასწავლებელთა მინიმალური ხელფასი სამჯერ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს;
- შემოსაღებია 20-წლიანი იაფი სტუდენტური და საგანმანათლებლო კრედიტები;
- სახელმწიფომ, ასევე, უნდა დააფინანსოს ორწლიანი პროფესიული კოლეჯები, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ პრაქტიკული სპეციალობის, ხელობის შესწავლას საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ.

3. გადასახადები: *თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?*

მიგვაჩნია, რომ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში ასახვა უნდა ჰპოვოს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებმა. იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი უნდა იყოს. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, გადასახადები მიზნული უნდა იყოს არა ქონებაზე, არამედ შემოსავლებზე. ყოველივე ზემოთქმულმა ასახვა ჰპოვა ჩვენს საარჩევნო პროგრამაში. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, გვინდა, შევთავაზოთ ინოვაცია, რათა საქართველოს მასშტაბით ძალიან დიდი შემოსავლები გაზრდილი განაკვეთით დაიბეგროს და ამით მდიდარმა ფენამ მეტი სოლიდარულობა გამოხატოს ქვეყნის მოსახლეობის მიმართ. კერძოდ, წელიწადში 100000 ლარზე მეტი შემოსავალი (ხელფასებით, პრემიებით და დანამატებით) დაიბეგროს, 20-ის ნაცვლად, 25%-იანი საშემოსავლო განაკვეთით.

4. ეკონომიკა: *როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?*

ქვეყანაში უნდა განისაზღვროს ის ეკონომიკური მიმართულებები, რომლებიც ქვეყნისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, რაც არასდროს გაკეთებულა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მომენტიდან. პრიორიტეტული ეკონომიკური მიმართულებები ამ კუთხით უნდა განისაზღვროს და აისახოს საკანონმდებლო დონეზე. მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი ღირებულების გადასახადის ზღვრის გაზრდა 100 ათასიდან 150 ათას ლარამდე; ასევე,

ბიზნესის სტიმულირებისთვის, საწარმოს მიერ მოგების 80%-ზე მეტის რეინვესტირების შემთხვევაში, აღნიშნული საწარმოც და რეინვესტიციის მიმღები საწარმოც შემდეგ წელს უნდა გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან; საქართველოში ტურისტული სეზონის მოკლე პერიოდულობის გამო, იმ იურიდიული პირებს, რომლებიც ტურისტულ რეგიონებში ტურისტული ბიზნესით არიან დაკავებული, კანონით განესაზღვროთ ქონების გადასახადის დიფერენციაცია სეზონურობის მიხედვით; აუცილებელია, შეიქმნას პრეზიდენტს დაქვემდებარებული ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც იქნება ქვეყანაში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და დაცვის ერთ-ერთი გარანტორი.

5. დასაქმება: *თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?*

უმუშევრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად უმთავრესია ეკონომიკის გაჯანსაღება. თუ როგორ შეიძლება ამას მივაღწიოთ, ამაზე პასუხი გაცემულია აქ წარმოდგენილ სხვა კითხვებზე. სახელმწიფომ არ უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, მან ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესს სამუშაო ადგილების შექმნაში. სხვა საკითხებთან ერთად, ერთ-ერთი მთავარია პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიება - უმუშევრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა სამუშაო ადგილები, ხოლო სამუშაო ადგილებისთვის საწარმოები, სადაც ეს ადგილები გაჩნდება. საწარმოები რომ აშენდეს, საჭიროა იყოს მოთხოვნა ამ საწარმოთა პროდუქციაზე და მისი გასაღების სტაბილური ბაზარი. ამდენად, უმუშევრობის პრობლემა რომ მოიხსნას, საჭიროა სტაბილური გასაღების ბაზრების მოძიება და გახსნა. ჩვენი საპროგრამო დევიზი ამ კუთხით მარტივიცაა და რთულიც: იქნება ბაზარი? - იქნება ქარხნებიც! იქნება ქარხნები? - იქნება სამუშაო ადგილებიც!

6. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს, რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამაღლდეს მისი ხარისხი?*

გვინდა, რომ ჩვენი ხალხი იყოს ჯანმრთელი. ამისათვის აუცილებელია: გამართული, მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებებზე ორიენტირებული და საზოგადოებრივად სამართლიანი ჯანდაცვის სისტემა; აქცენტი დაავადების პრევენციაზე უნდა გადავიტანოთ, მაგრამ, ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ის ამ პრობლემასთან მარტო არ არის, მის გვერდითაა მთელი სახელმწიფო. არც ერთი ადამიანი არ უნდა დაიღუპოს გაუმართავი ჯანდაცვის სისტემის, გულგრილობის, უსახსრობის გამო.

სახელმწიფო ჯანდაცვითი გარანტიები უნდა გახდეს მართლაც საყოველთაო და სამართლიანი ნებისმიერი მოქალაქის მიმართ.

აუცილებლად უნდა გაძლიერდეს პირველადი ჯანდაცვა. ამდენი წლის დეკლარაციული დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი რგოლის მიმართ, ბოლოსდაბოლოს, უნდა

შეიცვალოს. აქცენტი რეალურად უნდა გაკეთდეს დაავადებათა ადრეულ სტადიაზე გამოვლევასა და მკურნალობაზე, რაც პაციენტისთვისაც უმჯობესია და ქვეყნის ეკონომიკისთვისაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოფილ უბნის ექიმებს (ახლა ოჯახის ექიმებს რომ უწოდებენ) - მოსახლეობისთვის პირველი ზოგადი საექიმო დახმარების გაწევის სპეციალისტებს, რათა მათი სამუშაო პირობები, მოტივაცია რეალურად შეესაბამებოდეს იმ დიდ ამოცანას, რასაც ჯანდაცვის სისტემა აკისრებს და რა შედეგსაც მათგან მოვითხოვთ. რეალურად უნდა დავაფასოთ ამ პროფესიონალების მძიმე შრომა.

ამბულატორიული პროფილის დიაგნოსტიკურ-სამკურნალო დახმარების გაძლიერების პარალელურად, უნდა შეიქმნას და დაიხვეწოს მოსახლეობის მედიკამენტური საშუალებებით უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი სქემები, რათა საბოლოოდ დავაღწიოთ თავი უწყამლობით მიშვებული ავადობისა და თვითმკურნალობის მიზეზით გამოწვეულ მძიმე შედეგებს.

ჯანდაცვის სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიონალი, მისი მაღალი კვალიფიკაცია. ამისათვის აუცილებელია სათანადო ყურადღება და ძალისხმევა სახელმწიფოს მხრიდან - თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისი საბაზისო და შემდეგ უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღების საშუალება, დღევანდელი შესაბამისი სამუშაო გარემო და ანაზღაურება, რომელიც სხვისი სატკივარის გაზიარებისა და, ელემენტარულად, ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემს მედიკოსებს.

სამედიცინო დახმარების სისტემის სხვადასხვა რგოლის ეფექტური და კოორდინირებული მოქმედება.

7. სოციალური უსაფრთხოება: რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?

ჩვენი ძირითადი ამოცანაა ადამიანის პირველადი, სასიცოცხლო ინდივიდუალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფა, პირობების შექმნა სოციალური თანაარსებობისთვის, საზოგადოების პოლარიზაციისა და სიღარიბის შემცირება, მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობათა გაფართოება, შემოსავლების ზრდა, ღირსეული სახელფასო და საპენსიო ტარიფების დამკვიდრება, მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების მიზნობრივი სოციალური დაცვის მექანიზმების სრულყოფა, სოციალური დაცვის სადაზღვევო ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა. უმნიშვნელოვანესია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ყველა ადამიანისთვის სურსათის, საცხოვრებლის, განათლების, ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობას, დასაქმების შესაძლებლობებს, სოციალური მარგინალიზაციისა და გარიყულობის ლიკვიდაციას უზრუნველყოფს. ამ მიმართულებით რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯის დასახელება შეიძლება: საარსებო მინიმუმის გათვლის მეთოდისა და სიდიდის საჯაროობის დანერგვა; სოციალური გასაცემლების ორიენტირება საარსებო მინიმუმზე; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის იდენტიფიკაციის გამჭვირვალე და მარტივი, ლოგიკურად გამართული სისტემის შემოღება/განვითარება.

8. ადგილობრივი თვითმმართველობა: თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?

დემოკრატია იწყება ადგილობრივი თვითმმართველობიდან. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები და ფინანსური რესურსები, რათა მათ სათანადოდ უზრუნველყონ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი მომსახურების გაწევა. ყველა სოფელში და ყველა ქალაქის თითოეულ უბანში უნდა აირჩეს მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

პრეზიდენტი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ქმედითი ფუნქციონირების გარანტი და უზრუნველყოფს ცენტრალური ხელისუფლების ჩაურევლობას მათ საქმიანობაში. გაძლიერდება რეგიონული მმართველობა და თვისებრივად გარდაიქმნება გუბერნატორის ინსტიტუტი. რეგიონებს გადაეცემათ სათანადო უფლებამოსილებები და სტაბილური ფინანსური რესურსები, რათა მათ უზრუნველყონ რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მისი შედარებითი უპირატესობების გამოყენებით.

9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს. ამ პროცესის გაჭიანურება განუსაზღვრელი ვადით ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ უნდა დავიწყოთ ენერგიული, მეთოდური მოქმედება ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ჩვენი პოლიტიკა გულისხმობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, დევნილთა დაბრუნებას, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ქართველებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ცხოვრება სრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებთან და მისწრაფებებთან.

კონფლიქტების მოგვარება შესაძლებელია კონსენსუსის საფუძველზე ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით. ერთი მხარის წარმატება მექანიკურად არ უნდა ნიშნავდეს მეორის მარცხს.

- პირველ ეტაპზე პრიორიტეტულია სახალხო დიპლომატიის, ყველა სახის კონტაქტების (ადამიანური, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო, მედია და ა.შ.) წახალისება აფხაზურ და ოსურ მხარეებთან;
- დაგროვილი პრობლემების თანდათანობითი გადაწყვეტა პირდაპირი დიალოგის გზით. კონფლიქტების გადაწყვეტის უმთავრესი პრინციპი – ორიენტაცია არა იმაზე, რაც ერთმანეთს გვაშორებს, არამედ იმაზე, რაც გვაკავშირებს და მომავალში დაგვაკავშირებს.

ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად უმნიშვნელოვანესია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა კომპონენტებს მოიცავს. აუცილებელია ყოვლისმომცველი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სერიოზული განახლება.

- საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ობიექტიდან თანასწორუფლებიან სუბიექტად უნდა ჩამოყალიბდეს. უსაფრთხოების სფეროში ჩვენი პოლიტიკის ძირითად პრინციპად პრევენციული დიპლომატია უნდა იქცეს;
- უნდა გამოირიცხოს ავანტიურიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში, გავლენის ცენტრებს შორის ურთიერთობების დამაბზვა და კონფლიქტების პროვოცირება;
- ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯახებისკენ, არამედ ამ ინტერესთა შეჯერებისკენ. საქართველო ინტერესთა შეჯახების პოლიგონის ნაცვლად, ინტერესთა შეჯერების სივრცედ უნდა ჩამოყალიბდეს. ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავების პარალელურად, უნდა მიმდინარეობდეს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების პროცესი;
- სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში პრიორიტეტულია ევროკავშირთან მაქსიმალური დაახლოება, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევა და პერსპექტივაში სრულუფლებიანი წევრობა.

10. უმცირესობათა უფლებები: *რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?*

არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები საქართველოში კონსტიტუციით გარანტირებული ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ და ისეთივე მოვალეობები უნდა გააჩნდეთ, როგორც ტრადიციული ორიენტაციის მოქალაქეებს. საქართველოში ეს ყოველთვის ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება.

საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებების დამცველი და გარანტი.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გასაზრდელად საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ყონისას პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე შეიქმნა გენდერული თანასწორობის კონცეფცია, რომელიც დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს.

ჩვენ მივესალმებით საქართველოში ისეთი გენდერული პოლიტიკის განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკურ სტრუქტურებში გენდერულ საკითხებზე დიალოგის წარმართვას, ქალთა აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მათ დაწინაურებას.

მხარს ვუჭერთ:

- მთავრობაში გენდერულ საკითხებზე მომუშავე მუდმივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას;
- სახელმწიფო გენდერული პოლიტიკისა და კანონმდებლობის შექმნას;
- ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას ქვეყანაში ქალთა დაწინაურებისა და გენდერული თანასწორობის მისაღწევად;
- ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას;
- შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებას;
- გამჭვირვალე და ნათელი მექანიზმების დანერგვით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის გაზრდას;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის საკითხებში.

12. უმცირესობათა უფლებები: *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისთვის?*

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. ჩვენი ქვეყნის ისტორიას ქმნიდა საქართველოში მცხოვრები ყველა ერი, თანაბრად ინაწილებდა ლხინსა და ჭირ-ვარამს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტური დასახლების ადგილებში სახელმწიფო ენის (ქართული ენის) სწავლების მნიშვნელოვან ხარისხობრივ გაუმჯობესებას, რათა ჩვენს არაქართველ მოსახლეობას მივცეთ თანაბარი სასტარტო პირობები მაღალი დონის განათლების მისაღებად, საქართველოს პლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩასართავად. ამის პარალელურად ეროვნული უმცირესობების კომპაქტური დასახლების ადგილებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საბაზისო განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შესაძლებლობა.

უფრო აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ეროვნულ უმცირესობებში განათლებული, კომპეტენტური, სხვადასხვა დარგის მაღალი დონის სპეციალისტების გამოსავლენად, რათა მათ მივცეთ საშუალება, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის მართვასა და განვითარებაში.

13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.*

ევროკავშირი, ეუთო, ევროსაბჭო, დიდი ხანია, ითხოვენ ჩვენი ქვეყნისგან ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის შემუშავებას და განხორციელებას.

- საბიუჯეტო შენობების ენერგოხარჯები ამ ეტაპზე არის დაახლოებით 200 მილიონი ლარი. სპეციალისტების აზრით, შეიძლება ამ ხარჯების 50%-ით შემცირება.
- უნდა შეიქმნას პრეზიდენტთან არსებული ექსპერტთა საბჭო და შემუშავდეს ქვეყნის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მდგრადი განვითარების სტრატეგია.
- უნდა შეიქმნას „მწვანე ენერჯეტიკის“ კონცეფცია, რომლის თანახმადაც საქართველოში ეტაპობრივად დაინერგება ალტერნატიული ენერჯის წარმოება და მიწოდება. მზის და ქარის მიერ წარმოებულ ენერჯიას ფართოდ იყენებენ მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში.

14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/ გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

საქართველო ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორი ისტორიულად განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებში. იგი ორიენტირებულია ევროპულ და დასავლურ ფასეულობებზე. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება დასავლეთთან. საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სუბიექტად და არ დარჩეს მხოლოდ ობიექტად. აუცილებელია გამოირიცხოს ავანტიურისში საერთაშორისო ურთიერთობებში, გავლენის ცენტრებს შორის ურთიერთობების დამაბუჯა და კონფლიქტების პროვოცირება. ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავება მესამე ქვეყნების ლეგიტიმური ინტერესების წინააღმდეგ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს.

პრიორიტეტულია სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან მაქსიმალური დაახლოება, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევა და პერსპექტივაში სრულუფლებიანი წევრობა. ამავე დროს, აუცილებელია კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება მეზობელ და რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან. არ შეიძლება არ აღინიშნოს განსაკუთრებული ურთიერთობები თურქეთთან, რომელიც ყოველთვის აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. საქართველო უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტრატეგიულ თანამშრომლობას მეზობელ აზერბაიჯანთან, რომელთანაც გვაკავშირებს მრავალწლიანი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები. ამავე დროს, აუცილებელია ურთიერთობების გაფართოება სომხეთთანაც. ბოლო წლებში ყოფილი მთავრობის დაუფიქრებელმა და გაუწონასწორებელმა პოლიტიკამ რუსეთთან მიმართებაში უდავოდ

ჩიხში შეიყვანა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, რის შედეგადაც მივიღეთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ოკუპირებული ტერიტორიების 20% და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება. 5 წლის შემდეგაც ყოველდღიურად ვგრძნობთ ომის სავალალო შედეგებს, რისი ნათელი მაგალითიც არის რუსეთის მიერ ე.წ. „საზღვრის“ დემარკაციის წამოწყებული სამუშაოები. ნათელია, რომ კონფლიქტის მკვდარი წერტილიდან დასაძვრელად და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საკმარისი არ არის მხოლოდ დიპლომატიური საპროტესტო ნოტები და რეალობა მოითხოვს, რომ დაიწყოს დიალოგი უმაღლეს დონეზე საქართველოსა და რუსეთს შორის. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაჩნდება დევნილთა მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნების შანსი.

15. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სუბიექტად და არა მხოლოდ ობიექტად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ რთულ რეგიონში, როგორც კავკასია. პრევენციული დიპლომატია უნდა იქცეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად. აუცილებელია გამოირიცხოს ავანტიურიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში, გავლენის ცენტრებს შორის ურთიერთობების დამაბზავი და კონფლიქტების პროვოცირება.

საქართველოს განსაკუთრებულმა გეოსტრატეგიულმა მდგომარეობამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს პოლიტიკური როლის ამაღლებასა და ეკონომიკურ განვითარებაში. სამწუხაროდ, დღეისთვის საქართველო კარგავს რეგიონის სხვადასხვა ქვეყნების დამაკავშირებელი დერეფნისა და ხიდის ფუნქციას.

აუცილებელია საქართველოს რეგიონული პოლიტიკის გააქტიურება. შესაძლებელია საქართველომ გარკვეული როლი შეასრულოს მთიანი ყარაბახის კონფლიქტის მოგვარების სფეროში. შესაძლებელია გარკვეული ჩართვა ეუთოს „მინსკის ჯგუფის“ ქვეყნებში.

16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

საქართველოს თავდაცვის ორგანიზაციული მოწყობა დაფუძნებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე და ადეკვატურად პასუხობდეს ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებსა და გამოწვევებს. საქართველოს თავდაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვა.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე უნდა შემუშავდეს თავდაცვის ეროვნული სტრატეგიისა და შეიარაღებული ძალების განვითარების 5-წლიანი გეგმა. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ნაწილისა და

გაერთიანებული შტაბის ფუნქციები, გამოირიცხოს პოლიტიზაცია და ეფექტურად უნდა განხორციელდეს შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი. ამავე დროს, ყველა პირობა უნდა შეიქმნას შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად.

საქართველო ეტაპობრივად უნდა გადავიდეს პროფესიული ჯარის მოდელზე, ამავდროულად, შექმნას ეფექტური სარეზერვო სისტემა. უნდა შემუშავდეს ომის და სხვა კრიზისული სიტუაციების დროს ურთიერთქმედებისა და კოორდინაციის გეგმები სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, განსაკუთრებით, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასაზღვრო უწყებას შორის. გასათვალისწინებელია, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, ომის შემთხვევაში, სასაზღვრო უწყება გაერთიანებული შტაბის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადადის. საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია:

- პროფესიულად გაწვრთნილი და თანამედროვედ აღჭურვილი არმია, რომელიც მოახერხებს მისთვის განსაზღვრული ამოცანის შესრულებას;
- ძლიერი და ეფექტიანი არმია – ორგანულად ინტეგრირებული საზოგადოებაში და მისი განუყოფელი ნაწილი;
- საქართველოს სამხედრო ძალების სხვადასხვა ელემენტს შორის ფუნქციების ზუსტი გადანაწილება და დუბლირების გამორიცხვა;
- არმიის თვისებრიობის, მისი ორგანიზაციულ-სამტატო სტრუქტურის, აღჭურვილობისა და კონცეპტუალური დოკუმენტების აუცილებელი შესაბამისობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან, თავდაცვის სტრატეგიულ გეგმასთან და შეიარაღებული ძალების თავდაცვით ხასიათთან;
- ადეკვატური კონცეპტუალური და საკადრო პოლიტიკა.

17. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

საქართველოს განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა კომპონენტებს მოიცავს. აუცილებელია ყოვლისმომცველი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ადეკვატური გადახედვა და განახლება.

საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სუბიექტად და არა მხოლოდ ობიექტად. პრევენციული დიპლომატია უნდა იქცეს უსაფრთხოების სფეროში ჩვენი პოლიტიკის ძირითად პრინციპად.

უსაფრთხოებისთვის აუცილებელია, გამოირიცხოს ავანტიურიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში, ურთიერთობების დამაბზა და კონფლიქტების პროვოცირება გავლენის ცენტრებს შორის. ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავება არ უნდა იყოს მიმართული მესამე ქვეყნების ლეგიტიმური ინტერესების წინააღმდეგ, არამედ ემსახურებოდეს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას.

პრიორიტეტულია სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან მაქსიმალური დაახლოება, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევა და პერსპექტივაში სრულფასოვანი წევრობა.

ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სათანადო კონცეპტუალური ბაზის მომზადება, რომელიც უნდა მოიცავდეს ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების პრიორიტეტულობას საერთაშორისო სამართლის პრინციპების და პარტნიორი და მეზობელი ქვეყნების ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით, უსაფრთხოების პოლიტიკის სათანადო გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას, პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებასა და შესაბამის საკადრო უზრუნველყოფას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართალდამცავი სისტემის დანიშნულებაა სახელმწიფოსა და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

აუცილებელია დღევანდელი სახით წარმოდგენილი მონოპოლისტის – შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია, სპეცსამსახურების და პოლიციური სტრუქტურების ერთმანეთისგან გამიჯვნა, ქვედანაყოფებს შორის ფუნქციების სწორი განაწილება, სასაზღვრო პოლიციის განსაკუთრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, მისი ავტონომიურობის უზრუნველყოფა.

სპეცსამსახურები (დაზვერვა და კონტრდაზვერვა) უნდა გათავისუფლდნენ პოლიციური და სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქციებისგან. მათ უნდა მოახდინონ ეროვნული უშიშროების საფრთხეების იდენტიფიცირება, პროგნოზირება და მონაწილეობა მიიღონ მათ ნეიტრალიზებაში.

თავიდან არის გასატარებელი ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმა, კადრების შერჩევის, შესწავლის, მომზადების, აღზრდის და სამსახურის გავლის გასაგები და გამჭვირვალე სისტემისა და პროფესიული სტანდარტების დანერგვა. აუცილებელია რანგირების სისტემის დანერგვა. საკადრო სისტემა უნდა ეფუძნებოდეს არა პოლიტიკური კუთვნილების და პირადი ერთგულების, არამედ პროფესიონალიზმისა და კანონმორჩილების პრინციპს.

18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა: თქვენი აზრით, უნდა აკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?

რომ არაფერი ითქვას დემოგრაფიულ მდგომარეობაზე და აქ აბორტის, როგორც ერთ-ერთი ფაქტორის, უარყოფით როლზე, თავისთავად სიცოცხლის მოსპობა ჩანასახში უმძიმესი ქმედებაა, თუმცა აკრძალვა გამოსავალი არ არის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ იგი თავიდან ავიცილოთ. ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რაც აქ მცხოვრებთა მძლავრი, მრავალშვილიანი ოჯახების შექმნის წინაპირობაა; უნდა შეიქმნას არა მარტო ზოგადი პირობები, არამედ განსაკუთრებული მატერიალური სტიმულები ერის გამრავლების, ახალშობილთა აღზრდისა და მოვლის, ქალთა ჯანმრთელობის დაცვისთვის.

აღსანიშნავია განათლების უდიდესი მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით. სისტემატურად უნდა მოხდეს საზოგადოების გაცნობიერება და ინფორმირება, რომ ქვეყანა დემოკრატიის საფრთხის წინაშეა. ერი უნდა გამოფხიზლდეს, დაირაზმოს, იგრძნოს პასუხისმგებლობა.

შესაძლოა, აიკრძალოს აბორტის გაკეთება პირველივე მისვლაზე, გადავადდეს გარკვეული გონივრული ვადით, რომლის დროსაც მიეცემა ახსნა-განმარტება, ჩატარდება საუბარი და სხვა შესაძლო ღონისძიებები, რათა თავიდან ავიცილოთ აბორტი. გარკვეული ზომებია მისაღები სქესის გამო აბორტების რიცხვის შესამცირებლად. გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევები, როდესაც აბორტის საჭიროება სამედიცინო ჩვენებით არის განპირობებული.

19. გადასახადები და კრედიტი: *უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?*

ძველი ხელისუფლება ატერორებდა ბიზნესს, ართმევდა ხალხს კერძო საკუთრებას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სწორედ საბანკო კრედიტით იყო შექმნილი, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მასიურად ხდებოდა კერძო ბიზნესების წართმევა და საპროცესო გარიგებების მეშვეობით მილიონობით ლარის გამოძალვა საკუთარი მოსახლეობისთვის.

11 თვის განმავლობაში არც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გააკეთა რამე იპოთეკართა პრობლემის მოსაგვარებლად. ქართული ბანკები კრედიტების სანაცვლოდ მოსახლეობისთვის ქონების ჩამორთმევას და ქუჩაში გამოსახლებას დღესაც აგრძელებენ. როდესაც ესპანეთში ერთ-ერთმა ქალბატონმა გამოსახლების გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ესპანეთის ბანკებმა საგანგებოდ იმსჯელეს და ბანკების ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ქვეყნის ყველა ბანკმა 2 წლით გააჩერა გამოსახლებები და გადაუვადა მევალებებს დავალიანების გადახდა.

საქართველოს მთავრობა, ეროვნული ბანკი და ბანკების ასოციაცია კი ამ პროცესებს შორიდან აკვირდებიან. საბანკო სექტორი რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ეს კარგად ვიცით, თუმცა უსამართლობაა, როდესაც საქართველოში ზოგიერთი ბანკის მაღალჩინოსანი დღეში 13 ათას ლარზე მეტს იღებს.

ჩვენ არ ვთვლით, რომ სახელმწიფომ საკუთარ მოქალაქეებს პირადი ვალები უნდა გაუსტუმროს, ამას არც ეს ადამიანები ითხოვენ, ისინი ითხოვენ ვალების გადავადებას, პროცენტის დაწევას, ისინი არ ითხოვენ ვალების ჩამოწერასა და პატიებას.

ჩვენ ვთვლით, რომ აუცილებლად უნდა იქნას მიღებული კომპრომისული და პრაგმატული გადაწყვეტილება, რომელიც, ერთი მხრივ, არ ჩამოშლის საბანკო სისტემას და, მეორე მხრივ, ამ ადამიანებს მისცემს საშუალებას, შეინარჩუნონ საკუთარი საცხოვრებელი და თან მოახერხონ დაგროვილი ვალის გადახდა.

მე შევპირდი დაზარალებულ ადამიანებს, რომ მათ პრობლემას გავახმიანებდი და მათ ხმას მთავრობამდე მივაწვდენდი. არ ვიცი, გაიგონებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ამ განცხადებას, მაგრამ, როგორც დავპირდი მოსახლეობას, ახლაც საჯაროდ ვიმეორებ: ჩემს საპრეზიდენტო პროგრამაში ეს საკითხი აუცილებლად იქნება ასახული და პრეზიდენტობის პირველივე დღიდან ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც დღეს უსახლკაროდ არის დარჩენილი, კიდევ ახალი უსახლკარო, სოციალურად დაუცველი და გაუბედურებული ადამიანები არ შეემატონ.

20. მიწის საკუთრება: როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველომ უნდა შესთავაზოს მიწის აღება გრძელვადიანი იჯარით კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო პროექტის განსახორციელებლად. იჯარის ვადა შესაძლებელია განისაზღვროს საკმაოდ ხანგრძლივი (50 წლამდე ვადით), ხოლო იჯარის გადასახადი დამოკიდებული უნდა იყოს განსახორციელებელი პროექტის მიმართულებაზე და სოციალურად ორიენტირებული პროექტებისთვის შესაძლოა, სიმბოლურიც კი იყოს.